



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
მდივნის
განკარგულება №02-1048/2018

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა.(ა).ი.პ.

„ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის“ დამკვირვებლების
რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

ქ. თბილისი

2018 წელი 27 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-12 პუნქტისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა.(ა).ი.პ. „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის“ ხელმძღვანელის მიხეილ ანდლულაძის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის 27 ნოემბრის განცხადების (ცესკოში რეგისტრაციის №6669) შესაბამისად, ვადგენ:

მუხლი 1. გაუუქმდეთ რეგისტრაცია საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა.(ა).ი.პ. „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის“ დამკვირვებლებს დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი